საქართველოს მთავრობის
განკარგულება

N1165 2025 წლის 18 ივლისი ქ. თბილისი

სახელმწიფო გრანტის გაცემის პრიორიტეტული მიმართულებებისა და მიზნობრივი პროგრამების დამტკიცების თაობაზე

1. ცნობად იქნეს მიღებული, რომ „გრანტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, 1^1 პუნქტისა და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახელმწიფო გრანტის მართვის სააგენტოს შექმნისა და დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2025 წლის 15 აპრილის №119 დადგენილების საფუძველზე, შექმნილია სსიპ – სახელმწიფო გრანტის მართვის სააგენტო (შემდგომში – სააგენტო), რომლის მიზანია საქართველოში რეგისტრირებული და მოქმედი საზოგადოებრივი ორგანიზაციების მხარდაჭერა სახელმწიფო გრანტების გაცემის გზით, საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით ამ მიზნით გათვალისწინებული ასიგნებიდან, საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული „სახელმწიფო გრანტის გაცემის პრიორიტეტული მიმართულებებისა და მიზნობრივი პროგრამების“ შესაბამისად.

2. სააგენტოს მიერ სახელმწიფო გრანტის გაცემის მიზნით საჯარო კონკურსის გამოსაცხადებლად, ამ განკარგულების დანართის შესაბამისად, დამტკიცებულ იქნეს „სახელმწიფო გრანტის გაცემის პრიორიტეტული მიმართულებები და მიზნობრივი პროგრამები“.

პრემიერ-მინისტრი ირაკლი კობახიძე

სახელმწიფო გრანტის გაცემის პრიორიტეტული მიმართულებები და მიზნობრივი პროგრამები

2025-2026 წწ

საქართველოს მთავრობის 2025 წლის 15 აპრილის №119 დადგენილებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახელმწიფო გრანტის მართვის სააგენტოს დებულების“ მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, სააგენტო საქმიანობას ახორციელებს საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული სახელმწიფო გრანტის გაცემის პრიორიტეტული მიმართულებებისა და მიზნობრივი პროგრამების შესაბამისად. აღნიშნული მიზნობრივი პროგრამების ფარგლებში, სახელმწიფო გრანტის გაცემის მიზნით, სააგენტო უზრუნველყოფს საჯარო კონკურსის გამოცხადებას.

სააგენტომ სახელმწიფო გრანტის გაცემის პრიორიტეტული მიმართულებებისა და მიზნობრივი პროგრამების განსაზღვრისათვის განახორციელა წინასწარი მოკვლევა და ანალიზი, რა მიზნითაც გამართა კონსულტაციები სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან/საჯარო დაწესებულებებთან და სხვა დაინტერესებულ პირებთან. ამასთანავე, სააგენტოს მიერ გაანალიზებულ იქნა ისეთი სტრატეგიული დოკუმენტები, როგორიცაა „ხედვა 2030 საქართველოს განვითარების სტრატეგია“, „სამთავრობო პროგრამა 2025 – 2028“ და სხვ.

სააგენტოს მიერ განხორციელებული ზემოხსენებული მოკვლევისა და ანალიზის საფუძველზე, საგრანტო განაცხადების განმხილველი საბჭოს მიერ წინამდებარე სახით განსაზღვრულ იქნა სახელმწიფო გრანტის გაცემის პრიორიტეტული მიმართულებები და მიზნობრივი პროგრამები.

	პრიორიტეტული მიმართულება	მიზნობრივი პროგრამა
1	დემოკრატიული ინსტიტუტები, კარგი მმართველობა და ადამიანის უფლებები და ძირითადი თავისუფლებები	1.1. პროფესიონალური და კეთილსინდისიერი საჯარო სამსახურის განმტკიცების ხელშეწყობა
		1.2. მუნიციპალიტეტების საჯარო ფინანსების მართვის გაუმჯობესების ხელშეწყობა
		1.3. ბავშვის უფლებების დაცვისა და მათი კეთილდღეობის მექანიზმების გაუმჯობესების მხარდაჭერა, ბავშვის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით
		1.4. სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის ასაკს მიუღწეველ კანონთან კონფლიქტში მყოფ და რთული ქცევის მქონე არასრულწლოვანთა რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის მხარდაჭერა

		1.5. ქალთა უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობა
		1.6. ქალ მსჯავრდებულთა რეაბილიტაცია-რესოციალიზაციის ხელშეწყობა
		1.7. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის გაძლიერება და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მათი მონაწილეობის გაზრდის მხარდაჭერა
		1.8. ხანდაზმულთა უფლებების დაცვისა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის გაძლიერების მხარდაჭერა
		1.9. ნარკომანიასთან ბრძოლის მხარდაჭერა
		1.10. თავისუფალი, სამართლიანი და გამჭვირვალე არჩევნების ხელშეწყობა
		1.11. ქვეყანაში დემოგრაფიული პოლიტიკის შემუშავების ხელშეწყობა
		1.12. სახელმწიფო სერვისების ხარისხის გაუმჯობესების ხელშეწყობა .
		1.13. ანტიკორუფციული პოლიტიკის განხორციელების მხარდაჭერა
		1.14. მედიის ეთიკური სტანდარტების განმტკიცება და დეზინფორმაციასთან ბრძოლის ხელშეწყობა
		1.15. სარწმუნოებათაშორისი დიალოგის წახალისება
		1.16. ციფრული მმართველობის/ციფრული ტრანსფორმაციის მხარდაჭერა
		1.17. კიბერდანაშაულის პრევენციის მხარდაჭერა
		1.18. არალეგალური მიგრაციის პრევენციის მხარდაჭერა
		1.19. ავტოსაგზაო შემთხვევების პრევენციის მხარდაჭერა
		1.20. მონაცემთა მართვის სისტემის გაუმჯობესების ხელშეწყობა
	პრიორიტეტული მიმართულება	**მიზნობრივი პროგრამა**
2	საგარეო პოლიტიკა და საქართველოს ევროკავშირში გაწევრება	2.1. საგარეო მიმართულებით კვლევითი და ანალიტიკური რესურსების გაძლიერება
		2.2. საქართველოსა და ევროკავშირს შორის დადებული ასოცირების ხელშეკრულების განხორციელების ხელშეწყობა
	პრიორიტეტული მიმართულება	**მიზნობრივი პროგრამა**
3	ეკონომიკური განვითარება	3.1. საგარეო სავაჭრო ურთიერთობებისა და ხარისხის ინფრასტრუქტურის მხარდაჭერა
		3.2. ინვესტიციებისა და კაპიტალის ბაზრის განვითარების ხელშეწყობა

		3.3. მეწარმეთა ჩართულობის დონისა და ბიზნესის კეთების ხარისხის ამაღლება
		3.4. ენერგოეფექტურობის კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების განხორციელების ხელშეწყობა
		3.5. განახლებადი ენერგიის კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების განხორციელების ხელშეწყობა
		3.6. მწვანე ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა
		3.7. სატრანსპორტო პოლიტიკისა და ლოგისტიკის განვითარების ხელშეწყობა
		3.8. ციფრული ტრანსფორმაციის ხელშეწყობა
		3.9. ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა
		3.10. სივრცითი განვითარებისა და სამშენებლო პოლიტიკის მხარდაჭერა
		3.11. სამომხმარებლო ფასები და მისი სოციალურ-ეკონომიკური გავლენების შესწავლა
		3.12. შრომის ბაზრის განვითარების ხელშეწყობა-უმუშევრობის შემცირება და სიღარიბის დაძლევა, ადამიანური კაპიტალის განვითარება
	პრიორიტეტული მიმართულება	**მიზნობრივი პროგრამა**
4	განათლება, მეცნიერება და ახალგაზრდობა	4.1. სკოლამდელი განათლებისა და აღზრდის მხარდაჭერა
		4.2. სკოლის თანამშრომლების პროფესიული განვითარების მხარდაჭერა
		4.3. კვლევებისა და ინოვაციის ხელშეწყობა ზოგადი განათლების საფეხურზე
		4.4. ინკლუზიური განათლების ხელშეწყობა
		4.5. სასკოლო ცხოვრებაში მოსწავლეების ჩართულობის წახალისება
		4.6. სასწავლო რესურსებისა და კურიკულუმების განვითარება
		4.7. პროფესიული სტუდენტების საკვანძო კომპეტენციების განვითარება არაფორმალური განათლების გზით
		4.8. სოციალური ინკლუზიის ხელშეწყობა პროფესიული განათლების საფეხურზე
		4.9. ახალგაზრდებში მეცნიერების პოპულარიზაცია და კვლევებში მათი ჩართულობის მხარდაჭერა
		4.10. ხელოვნური ინტელექტის სამეცნიერო კვლევებში გამოყენების ხელშეწყობა
		4.11. STEM მიმართულებებში ქალთა ჩართულობის ხელშეწყობა

		4.12. ახალგაზრდული სამოქალაქო ინიციატივების ხელშეწყობა
		4.13. სახელოვნებო დარგის განვითარების მხარდაჭერა
		4.14. უმაღლესი განათლების განვითარების მხარდაჭერა
	პრიორიტეტული მიმართულება	**მიზნობრივი პროგრამა**
5	სპორტის განვითარება	5.1. ჯანსაღ ცხოვრებასა და განათლებაზე ორიენტირებული საქმიანობის ხელშეწყობა
		5.2. საერთაშორისო თანამშრომლობის გაძლიერების ხელშეწყობა
		5.3. განსაკუთრებული საჭიროების მქონე, შშმ-პირების სპორტში ჩართულობის ხელშეწყობა
		5.4. ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაცია და მასობრივი სპორტის განვითარება
	პრიორიტეტული მიმართულება	**მიზნობრივი პროგრამა**
6	შრომა, ჯანმრთელობა და სოციალური დაცვა	6.1. ჯანდაცვის სერვისების განვითარების ხელშეწყობა
		6.2. სსიპ – შრომის ინსპექციის სამსახურსა და სსიპ – დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს საქმიანობის მხარდაჭერა
		6.3. სოციალური დაცვის პოლიტიკისა და სოციალური სერვისების გაუმჯობესების ხელშეწყობა
	პრიორიტეტული მიმართულება	**მიზნობრივი პროგრამა**
7	თავდაცვა და უსაფრთხოება	7.1. ეროვნული თავდაცვისა და უსაფრთხოების გაძლიერების მხარდაჭერა
	პრიორიტეტული მიმართულება	**მიზნობრივი პროგრამა**
8	რეგიონული განვითარება და ადგილობრივი თვითმმართველობა	8.1. ადგილობრივი თვითმართველობის განვითარების პოლიტიკის მხარდაჭერა
		8.2. რეგიონული განვითარების პოლიტიკის მხარდაჭერა
		8.3. მუნიციპალური განვითარების გეგმების მხარდაჭერა
	პრიორიტეტული მიმართულება	**მიზნობრივი პროგრამა**
9	გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვა	9.1. მდგრადი განვითარებისა და გარემოს დაცვის ხელშეწყობა
		9.2. ბიომრავალფეროვნების დაცვა /კონსერვაციის მხარდაჭერა
		9.3. ტყის მდგრადი მართვის ხელშეწყობა

		9.4. ცხოველების მოვლა-პატრონობის და მათი პოპულაციების მართვისა და კონტროლის ხელშეწყობა
	პრიორიტეტული მიმართულება	**მიზნობრივი პროგრამა**
10	სოფლის მეურნეობა	10.1. სოფლის მეურნეობის განვითარების მხარდაჭერა
		10.2. მეცხოველეობის განვითარების ხელშეწყობა
	პრიორიტეტული მიმართულება	**მიზნობრივი პროგრამა**
11	იურიდიული და პროფესიული განათლება	11.1. იურიდიული და პროფესიული განათლების ხელშეწყობა/სამართლებრივი ცნობიერების ამაღლება
		11.2. შრომის ბაზარზე მოთხოვნადი კვალიფიცური ადამიანური კაპიტალის განვითარების ხელშეწყობა
	პრიორიტეტული მიმართულება	**მიზნობრივი პროგრამა**
12	შერიგება და სამოქალაქო თანასწორობა	12.1. სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის ხელშეწყობა (საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი მოქალაქეებისთვის)
		12.2. გამყოფი ხაზების ორივე მხარეს მცხოვრებ მოსახლეობას შორის ნდობის აღდგენისა და მშვიდობის მშენებლობის ხელშეწყობა.